

LINGUISTIC ANALYSIS OF THE GELATI TRANSLATIONS: COMPOSITIONAL- DERIVATIONAL MODELS IN THE TEXTS OF THE MINOR PROPHETS

გელათური თარგმანების ლინგვისტური ანალიზი: კომპოზიციურ-დერივაციული
მოდელები მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტებში¹

Tinatin Jikurashvili

Phd Student,

Research Associate at Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

The University of Georgia,

Tbilisi, 77a, M. Kostava str. Tbilisi, 0171, Georgia,

+995557156311, t.jikurashvili@ug.edu.ge,

<https://orcid.org/0009-0002-7752-5537>

Abstract. The development and enrichment of a language's expressive means is a gradual process, influenced not only by internal linguistic dynamics but also by contact with other languages, particularly through translation. This study investigates compositional and derivational word-formation models in the Georgian translations of the Minor Prophets found in the Gelati Bible (A-1108) and related exegetical collections.

The Gelati translation school, active in the 12th century, played a crucial role in expanding the Georgian lexicon through innovative use of derivational morphology and, to a lesser extent, composition. While earlier translations often relied on calques from Greek, Gelati translators demonstrated increased autonomy and creativity, employing native affixation and compound formation to meet the lexical demands of biblical texts. The paper explores the structural parallels and divergences between Georgian and Greek compound models, addressing the complex task of distinguishing inherited native forms from Greek-influenced constructions.

In addition to the Gelati Bible, the study also draws on exegetical works attributed to Theodoret of Cyrus preserved in manuscript S-417 (12th c.), its 16th-century copy K-3, and manuscript K-1 (16th c.). These texts provide a valuable basis for analyzing productive word-formation patterns. The research emphasizes the dynamic interplay between translation and linguistic innovation, arguing that translation practices - particularly in religious and philosophical texts - served as a catalyst for the diachronic refinement of Georgian lexical resources. Ultimately, the study highlights the sophistication of Georgian translators and the linguistic depth of the Gelati tradition in shaping classical Georgian literary language.

Key Words: Gelati Bible; Minor Prophets; Word-formation; Composition; Derivation; Theodoret of Cyrus; Metaphrastic Collections.

თინათინ ჯიკურაშვილი

დოქტორანტი,

თ. ბერამის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის

მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს უნივერსიტეტი,

მ. კოსტავას 77ა, თბილისი, 0171, საქართველო

+995557156311, t.jikurashvili@ug.edu.ge,

<https://orcid.org/0009-0002-7752-5537>

¹ კვლევა [PHDF-22-1325] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით / This research [PHDF-22-1325] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

აბსტრაქტი. ენის გამომსახველობითი საშუალებების დახვეწა და გამრავალფეროვნება ხანგრძლივი პროცესი და სხვადასხვა ფაქტორის ერთობლივი შედეგია, რომელთა შორის ცენტრალურია მთარგმნელობითი ურთიერთობები. მოცემული კვლევა ეხება სიტყვათწარმოების კომპოზიციურ და დერივაციულ მოდელებს მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანების გელათურ ვერსიებში (გელათის ბიბლია, A-1108) და გელათურ მეტაფრასულ კრებულებში შესულ თეოდორიტე კვირელის ეგზეგეტიკურ თხზულებებში.

გელათის მთარგმნელობითი სკოლა (XII ს.) მნიშვნელოვნად ავითარებს ქართულ ლექსიკას, განსაკუთრებით – დერივაციული საშუალებების გამოყენებით. თარგმანის პროცესში ქართველ მთარგმნელთა ლინგვისტური შემოქმედებითობა ვლინდება როგორც ბერძნული დედნის ლექსიკური სტრუქტურის იმიტაციაში, ისე საკუთარი ენის სიტყვათწარმოების რესურსების მაქსიმალურ გამოყენებაში. ნაშრომში განხილულია კომპოზიციური სტრუქტურების ბერძნულსა და ქართულში არსებული მოდელები და მათი განსხვავებები, რაც საჭიროა კალკური სტრუქტურების იდენტიფიცირებისთვის.

გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტის გარდა გამოკვლევაში გაანალიზებულია თეოდორიტე კვირელის ეგზეგეტიკური თხზულებები, დაცული ხელნაწერებში S-417 (XII ს.), K-3 და K-1 (XVI ს.), რაც განამტკიცებს კვლევის ემპირიულ საფუძველს. კვლევა აჩვენებს, რომ თარგმანი ქართულ ენაში ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა იყო. გელათური ტრადიცია კი – თავისი ენობრივი მრავალფეროვნებითა და დახვეწილობით – მნიშვნელოვანი საფეხური აღმოჩნდა კლასიკური ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების გზაზე.

საკვანძო სიტყვები: გელათის ბიბლია; მცირე წინასწარმეტყველები; სიტყვათწარმოება; კომპოზიცია; დერივაცია; თეოდორიტე კვირელი; მეტაფრასული კრებულები.

შესავალი. ენის დახვეწა, მისი გამომსახველობითი საშუალებების გაზრდა და გამრავალფეროვნება ხანგრძლივი პროცესია და, საკუთრივ ენაში მიმდინარე მოვლენების გარდა, (დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთობა, ფონეტიკური პროცესები...), უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, სხვა ენებთან კონტაქტებს. ცნობილია, რომ ენებს შორის შესაძლოა იყოს „ზეპირი“ კავშირები, როდესაც სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები უშუალოდ ურთიერთობენ ერთმანეთთან (მაგალითად, სავაჭრო ან პოლიტიკური ვითარების გამო), ან წერილობითი, მწიგნობრული ურთიერთობა. ეს უკანასკნელი მთარგმნელობით საქმიანობასთანაა დაკავშირებული. რამდენადაც ენა ახალი გამოწვევების წინაშე სწორედ თარგმანის დროს დგება, მთარგმნელს ეკისრება უდიდესი როლი ენის განვითარების შესაბამის ეტაპზე ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით გაააქტიუროს ენის მანამდე უცნობი შესაძლებლობები. ენის გამომსახველობითი საშუალებები და შესაძლებლობები იწრთობა, იხვეწება და ვითარდება და რაც მანამდე შეუძლებელი იყო, შესაძლებელი ხდება თანდათან, წინა მთარგმნელთა გამოცდილებაზე დაყრდნობითა და გაზიარებით. ამიტომაც, რომ რაც გელათის ფილოლოგიურ სკოლაში შესაძლებელი გახდა, წარმოუდგენელი იქნებოდა უფრო ადრე, თუნდაც ოშკის ბიბლიის შექმნის დროისთვის (978/979 წწ.). მეორე მხრივ, გელათელი ფილოლოგოსები მოკლებულნი იქნებოდნენ შესაძლებლობათა ასეთ მრავალფეროვან არჩევანს, რომ არა მათი წინამორბედი მთარგმნელები. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ როდესაც ქართული ენის შესაძლებლობათა დიაქრონიულ განვითარებასა და დახვეწაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს სწორედ მთარგმნელთა შესაძლებლობებზე დაკვირვება. ცხადია, სათანადო ყურადღება ექცევა ორიგინალურ ლიტერატურასაც, თუმცა

ორიგინალური მწერლობის ენაცა და სტილიც ნათარგმნი ძეგლების (ადრეულ ეტაპზე – ბიბლიის) უდიდეს გავლენას განიცდის.

ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ორი განსხვავებული გზა არსებობს: 1. პირველი, ესაა სესხება – სხვა ენიდან იმ საგნის ან ცნების აღმნიშვნელი სიტყვის გადმოტანა, რაც მიმღებ ენაში არ მოიპოვება. ნასესხები ლექსიკა შეიძლება იყოს ენის ლექსიკური ფონდის სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფის კუთვნილება (ცხოველთა და მცენარეთა სახელები, სხვადასხვა ხელობასა და საქმიანობასთან დაკავშირებული დარგობრივი ლექსიკა და ა.შ.); 2. ლექსიკური მარაგის გამდიდრების მეორე საშუალებას წარმოადგენს სიტყვაწარმოება. სიტყვაწარმოებით, ე.ი. გრამატიკული საშუალებების გამოყენებით ახალ სიტყვათა შექმნის, ასევე ორი გზა არსებობს: ერთია წარმოქმნა ანუ დერივაცია (derivatio), მეორე – თხზვა ანუ კომპოზიცია (compositio). დერივაცია ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნისათვის ფუძეზე მნიშვნელობის მცვლელი აფიქსების დართვას გულისხმობს, თხზვა, ანუ კომპოზიცია, კი განიმარტება როგორც ახალი სახელის შექმნა ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით.

ენის ლექსიკური მარაგის შევსების ორივე გზა (სესხება და სიტყვაწარმოება) პროდუქტიულია ქართულში (ისევე როგორც, ზოგადად, ყველა ენაში). ამჯერად ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სიტყვაწარმოებაზე, როგორც ენის სიტყვათა მარაგის გამდიდრების ძირითად საშუალებაზე, რომელსაც საკმაოდ ეტყობა მთარგმნელების განსწავლულობა და აფიქსებისა და ლექსიკური ერთეულების ფუძეთა პოტენციალისა და გამოხატვის შესაძლებლობების უზადლო და სიღრმისეული ცოდნა.

რამდენადაც ენა მრავალი ეპოქის ნაყოფია, ამდენად სიტყვაწარმოების სხვადასხვა ფორმა სხვადასხვა დროსა და პირობებში არის დამკვიდრებული ამა თუ იმ ენაში. სიტყვაწარმოების ახალი ფორმებისთვის კი ძირითად ბაზას ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი წარმოადგენს (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 59). ლექსიკის ძირითად ბირთვში შედის ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვები; ახლო ნათესაობის ტერმინები; ბუნების მოვლენათა ამსახველი ლექსემები; ზოგი ციური მნათობის სახელი; რიცხვითი სახელები; ზოგიერთი მცენარისა და ცხოველის აღმნიშვნელი ლექსიკა; ზოგი ზედსართავი სახელი და ზედსართავად ქცეული მიმღეობა; ნაცვალსახელები; ყოველდღიური ყოფის აღმნიშვნელი ზმნები; ზმნიზედები და სხვ. ძირითადი ბირთვისაგან განსხვავებით, პერიფერიულ ლექსიკას განეკუთვნება ისეთი ლექსემები, რომლებიც ყოველდღიურ საქმიანობას (ყოფას) არ უკავშირდება (სარჯველაძე, 1997, გვ. 181).

ძველსა და საშუალ ქართულში კომპოზიტები საკმაოდ ფართოდ გამოიყენება როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური მწერლობის ძეგლებში. თანამედროვე ქართულში დადასტურებულ კომპოზიტთა უმეტესობა ქართული ენის განვითარების ადრეულ, უძველეს პერიოდს განეკუთვნება (მრეველიშვილი, 1957, გვ. 165), თუმცა მაინც იჩენს თავს საკუთრივ ქართული და სხვა ენების (უპირველესად, ბერძნულის) გავლენით შექმნილი კალკური კომპოზიტების ერთმანეთისგან გამიჯვნის პრობლემა. ცნობილია, რომ მთარგმნელები, რომელთა ეტალონსაც „უფსკრულღრმა“ ბერძნული ენა წარმოადგენდა, ცდილობდნენ მიებაძათ ბერძნულისთვის და ქართულ თარგმანში მაქსიმალურად აესახათ დედნის ვითარება. პრობლემურია იმის გარკვევა, კონკრეტული კომპოზიტი ამ მცდელობის შედეგს წარმოადგენს და ბერძნულის კალკთან გვაქვს საქმე, თუ მთარგმნელი ქართულში უკვე დამკვიდრებულ ფორმას იყენებს. ეს პრობლემა მით უფრო რთული გადასაწყვეტია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულსა და ბერძნულს კომპოზიციის მსგავსი მოდელები აქვს. თუმცა მათ შორის რამდენიმე სხვაობა მაინც შეგვიძლია გამოვყოთ: ბერძნულში კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს სახელის ან ზმნის ფუძე, რიცხვითი სახელი, წინდებული, ზმნიზედა ან გამოუყოფელი პრეფიქსი. თუმცა ბერძნულში, ქართულისგან განსხვავებით, კომპოზიტის პირველი ნაწილი ყოველთვის გაუფორმებელია და წარმოდგენილია მორფოლოგიური მარკერების

გარეშე, მაშინ, როდესაც ქართულში კომპოზიტის პირველი ნაწილის დაბოლოება მოკვეცილია მხოლოდ ფუძეგაორმაგებულ (მაგ.: დიდ-დიდი) და ორარსებითიან კომპოზიტებში (მაგ.: თესლ-ტომი), ძირითადად კი ქართულში კომპოზიტის პირველი წევრი ყველა ბრუნვასა და ორსავე რიცხვში შეიძლება იყოს წარმოდგენილი (ხარანაული, 2024)

გამოდის, რომ სიტყვათა თხზვის მოდელებით ქართული ენა ბერძნულზე უფრო მდიდარია. „სწორედ ქართულის მდიდარმა შესაძლებლობებმა სიტყვათა თხზვისა მისცა მთარგმნელებს საშუალება უფრო იოლად მოეხდინათ დედნის იმიტაცია – შეექმნათ კონკრეტული ბერძნული კომპოზიტის შესატყვისი ახალი კომპოზიტები და მრავალფეროვანი გაეხადათ ქართული ლექსიკური ფონდი“ (ხარანაული, 2024).

მეთოდები. ახალ ლექსიკურ ერთეულთა კომპოზიცია-დერივაციის შესახებ ამჟამად ვიმსჯელებთ მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანების გელათური ვერსიების მიხედვით. უპირველესად, ცხადია, ვგულისხმობთ გელათის ბიბლიაში (A-1108) შესულ მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტებს, რომელთაგან უმეტესობამ დეფექტური სახით მოაღწია ჩვენამდე. ასევე, სიტყვათწარმოებაზე დასაკვირვებლად მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მეტაფრასულ კრებულებში შესული ამოს და მიქა წინასწარმეტყველების ეგზეგეტიკური თხზულებები. ასეთი სულ სამი მეტაფრასული კრებული გვაქვს – XII ს-ის ხელნაწერი S-417, რომელშიც 15 ივნისის საკითხავად შეტანილია თეოდორიტე კვირელის განმარტება ამოსის წინასწარმეტყველებისა და რომლის XVI საუკუნის ასლიც² გვაქვს K-3 ხელნაწერის სახით; და XVI ს-ის კრებული ქიმ K-1, სადაც 14 აგვისტოს მიქეას წინასწარმეტყველების თეოდორიტესეული განმარტებაა შეტანილი. ამ ხელნაწერებში შესული თეოდორიტე კვირელის ეგზეგეტიკური თხზულებები გამოცემულია (ინწკირველი, 2007, გვ. 9-48) (ჯუღელი, 2008, გვ. 417-443).

ეს ეგზეგეტიკური თხზულებები მეტაფრასულ კრებულებში სრულადაა წარმოდგენილი, იმავე წინასწარმეტყველთა ბიბლიური ტექსტები კი გელათის ბიბლიაში ნაკლულია, ლაკუნები ასე გამოყურება: **ამოსი** – 2.11 ...აგან თქუენთა - 4.7 ვწვმო განწმეს deest G; inc. 7.8 ისრაჴლისასა - fin deest G; **მიქა** – inc. init – 1.11[მი]სსა მოღებულ desst G, from 5.2. ათასეულთა bis fin deest G.

მეტაფრასულ კრებულებში შესულ თეოდორიტეს განმარტებათა მთარგმნელის ვინაობა უცნობია, არც ის ვიცით, იყო თუ არა თარგმნილი სრულად თეოდორიტეს განმარტებები თორმეტ მცირე წინასწარმეტყველზე და როდის შესრულდა ეს თარგმანი - გელათის ბიბლიამდე თუ მას შემდეგ.

შედეგები და მსჯელობა. გელათის ბიბლიის ენისა (XII ს.) და, ზოგადად, გელათური მემკვიდრეობისათვის უფრო დამახასიათებელია სიახლეები სიტყვათა დერივაციაში, ვიდრე კომპოზიციაში. თუ გელათის ბიბლიაში დადასტურებული ფუძისა და აფიქსების ვირტუოზული კომბინაციები უმრავლეს შემთხვევაში ინოვაციაა ენისთვის, იმავეს ასე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით კომპოზიტებზე. გელათის ბიბლიის მცირე

² გელათური წარმოშობის ხელნაწერებიდან XVI საუკუნეში გადაწერილი ასლების შესახებ ცნობილია, რომ კათალიკოსების – ევდემონ ჩხეტიძისა და ეფთვიმე I საყვარელიძის დაკვეთით ხელახლა გადაიწერა მთელი წლის მეტაფრასული კრებულები (ქიმ, K 1, 2, 3, 4, 5, 13). ამ ხელნაწერთაგან ზოგიერთს ერთი დედანი უდევს საფუძვლად, ზოგი კი სხვადასხვა ხელნაწერიდან ამოღებულ თხზულებებს აერთიანებს. მაგალითად, K 5, რომელშიც ეფრემ მცირის „მოსაჴსენებელია“ დაცული (რომელიც სვიმეონ მეტაფრასტს და მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის ქართველ მთარგმნელებს ეხება), სწორედ ასეთ გაერთიანებულ კრებულს უნდა წარმოადგენდეს (თვალთვაძე, 2009, გვ. 153).

წინასწარმეტყველთა ტექსტებში დადასტურებული კომპოზიციების უმეტესობა უკვე გვხვდება ბიბლიურ წიგნთა უფრო ადრეულ თარგმანებსა და რედაქციებში, თუმცა გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც.

რაც ნამდვილად წარმოადგენს გელათური თარგმანის სტილის ერთ-ერთ მახასიათებელს, არის ისეთი კომპოზიტი ზმნები, რომელთა პირველი წევრი არის ფორმაუცვლელი სიტყვა (თანდებული ან ზმნისართი). წარმოადგენთ სათანადო მაგალითებს:

სυν / συ

აბდ. 1:13 **μὴδὲ συν-ἐπιθῆ** ἐπὶ τὴν δὴναμιν αὐτῶν

ნუცა **დაშჯერდები** ძალსა მათსა OJ

ნუცა **თან-დაშჯდები** ძალსა ზედა მათსა G

ზაქ. 1:15 **συν-ἐπιτιθέμενα**

შეკრბეს მათ ზედა J (deest O)

ზედა-დაუჯდეს G

სოფ. 2:1 **συν-δέσθητε** τὸ ἔθνος τὸ ἀπαίδευτον

შეიკრენით ნათესავი ეგე უსწავლელი OJ

თან-შეიკრენით ნათესავი უწურთელი G

ἐκ/ἐξ

იოელ. 3:6 **ἐξ-ᾠσθητε** αὐτοὺς ἐκ τῶν ὁρίων αὐτῶν

განაშორნენ იგინი საზღვართაგან მათთა OJ

განაგარევნეთ იგინი საზღვართაგან მათთა G

იოელ. 3:13 **ἐξ-ἀποστείλατε** δρέπανα

გან-ავლინენით მანგალნი OG (deest J)

ἐπι / ἐπ

ამბ. 3:8 **ἐπι-βῆσθι** ἐπὶ τοὺς ἵππους σου

აჰკედ ეტლთა შენთა ზედა O (აჰკედ ცხენთა შენთა J)

ზედა-აჰკედ ცხენთა ზედა შენთა G

ზაქ. 6:7 **ἐξ-επορεύοντο** καὶ **ἐπ-ἐβλεπον** τοὺς πορεύεσθαι τοὺς περιοδεῖσαι τὴν γῆν

განვიდოდეს (გამოვიდოდეს J) და **მიმოიმსტოვრობდეს** (მიმოიმსტოვრობდეს J)

მიმოსლვად ქუეყანისა OJ

გამოვიდეს და **ზედა-მოიხილვიდეს** **გარე-მოვლად** ქუეყანისა G

περι

ზაქ. 6:7 **περι-ᾠδουσιν** τὴν γῆν καὶ **περι-ᾠδουσιν** τὴν γῆν

მოვლეთ ქუეყანაჲ და **მოვლეს** ქუეყანაჲ OJ

გარე-მოვლეთ ქუეყანაჲ და **გარე-მოვლეს** ქუეყანაჲ G

ἀνά / ἀν

ნაუმ. 1:5 **ἀν-εστᾶλη** ἡ γῆ ἀπὸ προσώπου αὐτοῦ

შეიპყრა ქუეყანაჲ ყოველი პირისაგან მისისა OJ

კდემულ-იქმნა ქუეყანაჲ პირისაგან მისისა GSB

და ა.შ.

ცხადია, აქ ყველა მაგალითი მოყვანილი არაა, თუმცა ამ მცირე ნაწილიდანაც ჩანს, რომ გელათის ბიბლიის მთარგმნელ-რედაქტორის არჩევანი ძირითადად განპირობებულია ბერძნულთან მაქსიმალური ფორმალური სიახლოვის სურვილით, თუმცა არც შინაარსი რჩება ყურადღების მიღმა (მაგ.: **συν-ἄχθητε** - კრება-ყავთ G). ამ კონტექსტში უნდა ვახსენოთ ციტატა 50-ე ფსალმუნიდან, რომელიც ამოს.1:3-ის თეოდორიტესეულ განმარტებაშია ჩართული და რომელიც მეტფრასულ კრებულებში (S-417, K-3) ამ ფორმითაა წარმოდგენილი:

უკუნ-აქცინე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან (ამოს. 1:3, (კატ.), S-417, K-3)

Ἀποστρέψων ὁ πρόσωπόν σου ἀπὸ τῶν ἁμαρτιῶν μου (Theodoretus) (ფს. 50:11)

ἀπο-στρέφω *turn away or aside, divert* (LSJ)

გიორგი მთაწმიდლისეული *გარე-მიაქციეს* ნაცვლად, მეტაფრასული კრებულის *უკუნ-აქციე* ბერძნულის ფორმალური გადმოტანის სურვილით უნდა იყოს გამოწვეული.

კომპოზიტები. ნაწარმოები სახელების ერთი ნაწილი წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულია (შეთანხმებული ან მართული), რომლის მსაზღვრელსაც ბოლოვიდური ხმოვნის მოკვეცის შემდეგ ენკლიტიკურად მიუერთდა საზღვრული. ასეთებია, მაგალითად : მაღალ-ხჭ (< მაღალი ხჭ), ხე'თ-მწუჭრვალეზნი (< ხეთა მწუჭრვალეზნი), მსხუჭრპლის-საცავი (< მსხუჭრპლისა საცავი) და ა.შ.

შევჩერდეთ ერთ-ერთ კომპოზიტზე – მაღალხჭ:

გელათის ბიბლიაში (A-1108) ოსიას წინასწარმეტყველების ერთ მონაკვეთში (ოს. 14:9) ტექსტისავე ხელით შეტანილია კორექტურა, კერძოდ ბერძნული ἄρκυςθις πυκνῶς³-ს თავდაპირველი ეკვივალენტი *მაღალხჭ ბორობანი* ტექსტისავე ხელით შეცვლილია *არკვეთი ამალღებული*-თ, ოღონდ, ისე, რომ ტექსტში თავდაპირველი ვარიანტიც დატოვებულია, შემოხაზულია და ახალი წაკითხვა მის თავზეა დაწერილი. საბას, რომელიც ზოგჯერ ასწორებს ხოლმე გელათის ტექსტს და ახალ წაკითხვებს ხელნაწერშივე აღნიშნავს, ამ მონაკვეთში არანაირი კორექტურა არ შეაქვს, თუმცა მცხეთურ ბიბლიაში სათანადო ადგილას ვკითხულობთ: „მე ვითარცა *ნაძვ შროშანი ამალღებული*“ (S). როგორც ვხედავთ, არც გელათისეული *მაღალხეა* და არც *ბორობანი*.

მოვიყვანთ გელათის ბიბლიისა და ოშკურ-იერუსალიმური ვერსიის სათანადო ადგილებს, ასევე პარიზის ლექციონარის (L^p) წაკითხვას, რადგან, როგორც ცნობილია, ეს ხელნაწერი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საბასთვის და ხშირად საკონტროლო საშუალებადაა გამოყენებული მცირე წინასწარმეტყველების ნაწილში.

G*: მაღალხჭ ბორობანი; G: არკვეთი ამალღებული

L^pOJ: ნაძვ ბორობანი

S: ნაძვ შროშანი ამალღებული.

ნათელია, რომ საბასეული *ნაძვ შროშანი ამალღებული*-ს ერთადერთ წყაროს გელათის ბიბლიის ოსიას წინასწარმეტყველების ტექსტი არ წარმოადგენს, რადგან *ნაძვ* საერთოდ არაა ნახსენები გელათის სათანადო ადგილას, თუმცა ვხვდებით ოშკურ-იერუსალიმურ რედაქციასა და ლექციონარის პარიზულ ხელნაწერში, სამაგიეროდ, *ამალღებული* ნამდვილად გელათიდან მომდინარეობს. ამ კონტექსტს პარალელური ადგილის გავლენით ვერ ავხვით, რადგან სეპტუაგინტაში ἄρκυςθις (ღვია, კედარი) ჰაპაქსლეგომენონია და მხოლოდ ერთხელ – სწორედ ამ კონტექსტში დასტურდება. ე.ი. გამოდის, რომ საბასთან წყაროთა კომპილაციასთან გვაქვს საქმე – ერთი მხრივ მას ტექსტში შეაქვს ძველი თარგმანის *ნაძვ*, მეორე მხრივ კი გელათისეული *ამალღებული*. რაც შეეხება *შროშანს*, ეს ნუსხური ზ და შ ასოების არასწორი წაკითხვის შედეგი უნდა იყოს (ბორობანი > შროშანი). სხვანაირად გაუგებარია *შროშანის* ამ კონტექსტში დადასტურება.

საინტერესოა, რომ, მართალია, საბას ოს. 14:9 კონტექსტში არ გადმოაქვს გელათის ბიბლიაში დადასტურებული ბერძნულის ტრანსლიტერირებული ფორმა *არკვეთი*, ეს ლექსიკური ერთეული მაინც შეაქვს სიტყვის კონაში:

არკვეთი (4, 13 ოსე) ხე ბორობანი, ხე ჩრდილოვანი ZA, (ხე) ბორობანი (9 ოსე) B. ხე მაჩრდილობელი (ოსეს 9) Cab.

³ ἄρκυςθις – I. *juniper, Juniperus macrocarpa*; II. *Phoenician cedar, Juniperus phoenicea*; III. *prickly cedar, Juniperus oxycedrus*; IV. ὁ μικρὰ *dwarf juniper, Juniperus communis* (LSJ); πυκνῶς – verb participle present active nominative feminine singular from πυκνῶ – *cover closely*, freq. with collat. notion of protection, cover thickly, II. II. close, shut up (LSJ).

კალკური კომპოზიტები. კალკური კომპოზიტები არის სიტყვები, რომლებიც შემადგენელი ფუძეების პირდაპირი თარგმანის (კალკის) შედეგად მიიღება. ქართულში მრავალი კომპოზიტი სწორედ ბერძნულიდან კალკირების გზითაა შექმნილი. ზოგიერთი კალკური კომპოზიტი შეერწყა ქართულ ლექსიკურ ფონდს, ზოგიერთის ენობრივი ადაპტაცია კი ვერ მოხერხდა.

ქართულ ლექსიკურ ფონდში დამკვიდრებულ კალკურ კომპოზიტად შეგვიძლია დავასახელოთ *სულგრძელი*, რომელიც ბერძნული $\mu\alpha\kappa\rho-\mu\sigma\iota\varsigma$ -ის ფორმალურ ეკვივალენტად გვევლინება მცირე წინასწარმეტყველთა გელათურ ვერსიებში. აქედანვეა ნაწარმოები საწყისი *სულგრძელება* ($\mu\alpha\kappa\rho\iota\sigma\mu\iota\alpha\nu$) (ამოს. 1:3, კატ. S-417, K-3), ზმნური ფორმა *ვისულგრძელო* ($\mu\alpha\kappa\rho\iota\sigma\mu\eta\sigma\omega$) (ამოს. 1:3, კატ. S-417, K-3) და სასუბიექტო მიმღეობა *მსულგრძელებელი* ($\mu\alpha\kappa\rho\iota\sigma\mu\eta\sigma\alpha\varsigma$) (ამოს. 1:6, კატ. S-417, K-3).

კალკურ კომპოზიტებად უნდა მივიჩნიოთ **არს.სახ+ზმნიზედა** მოდელით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები, მაგალითად:

ჯელთ-შინამ (ამოსი, მიზეზი, G, S-417, K-3), $\acute{\epsilon}\nu\ \chi\epsilon\rho\sigma\iota$ (Theodoretus)

სიმკოდვის-შინანი (ამოს. 6:12, კატ., S-417, K-3), $\acute{\epsilon}\nu\ \pi\epsilon\nu\acute{\iota}\delta$ (Theodoretus)

ჯელსა-წინა (მიქ. 2:9, კატ., K-1), $\pi\rho\omicron-\chi\epsilon\iota\rho\iota$ (Theodoretus)

კარის-ზედა (ამოს. 1:1, კატ., S-417, K-3), $\acute{\upsilon}\pi\acute{\epsilon}\rho-\theta\upsilon\rho\omicron\nu$ (Theodoretus)

შორის-მოქმედებული (მიქ. 3:8, კატ., K-1), $\epsilon\nu-\epsilon\rho\gamma\omicron\upsilon\mu\epsilon\nu\omicron\varsigma$ (Theodoretus, Interpretatio in xii prophetas minores)

მცირე წინასწარმეტყველთა გელათურ ვერსიებში დადასტურებულ კომპოზიტთა ერთი ნაწილი შედგენილია „საზომი“ და „საცავი“ ლექსებითაა მონაწილეობით. როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, აქაც ძველ თარგმანში (ვგულისხმობთ ომკურ-იერუსალიმურ ვერსიას), ძირითადად ბერძნულის ეკვივალენტად არა კომპოზიტი, არამედ ერთი ფუძე გვაქვს. გამონაკლისია „ხილისსაცავი“ და „ქუეყნისსაზომელი“:

სოფ. 2:5 $\sigma\chi\omicron\iota-\nu\iota\sigma\mu\alpha$ - ნაწილის_საზომსა G - ნაწილებსა OJ

სოფ. 2:7 $\sigma\chi\omicron\iota-\nu\iota\sigma\mu\alpha$ - წილის_საზომი G - ნაწილები OJ

ზაქ. 2:1 $\gamma\epsilon\omega-\mu\epsilon\tau\rho\iota\kappa\acute{\omicron}\nu$ - საქუწყანის-ზომმელო G - ქუეყანის-საზომელი OJ

ნაუმ. 2:5 $\pi\rho\omicron-\phi\upsilon\lambda\alpha\kappa\acute{\alpha}\varsigma$ - წინ_საცავთა G - მჭუმინი OJ

მიქ. 3:12 $\acute{\omicron}\pi\alpha\rho\omicron-\phi\upsilon\lambda\acute{\alpha}\kappa\iota\omicron\nu$ - ხილის-საცავი GOJ

იოვ. 2:17 $\theta\upsilon\sigma\iota\alpha-\sigma\tau\eta\rho\iota\varsigma$ - მსხურპლის-საცავი - საკურთხეველი OJ

მიქ. 2:9 $\delta\omicron\upsilon\lambda\omicron-\pi\rho\epsilon\pi\acute{\omega}\varsigma$ - უცხოობასა შინა **მონა-შუჭნიერებით** მკვდრობად იიძლნეს [K-1, კატენი]

იოვ. 2:28 $\acute{\epsilon}\nu-\acute{\upsilon}\pi\nu\iota\alpha$ $\acute{\epsilon}\nu-\acute{\upsilon}\pi\nu\iota\alpha\sigma\theta\eta\sigma\omicron\nu\tau\alpha\iota$ ძილისშორისსა იძილის_შორისვიდენ. G; საჩუენებლით იხილვიდენ. OJ

დაიდებნება საპირისპირო მაგალითებიც, როცა ბერძნული კომპოზიტი ქართულად არა კომპოზიციით, არამედ ერთ ფუძეზე მნიშვნელობის მცვლეელი აფიქსების დართვით - დერივაციით გადმოდის. მაგალითად:

მე-ცეცხლ-ე (აბდ. 1:18, შდრ., უ-ცეცხლ-ო OJ)

$\omicron\iota\kappa\ \acute{\epsilon}\sigma\tau\alpha\iota$ **πυροφόρος** $\acute{\epsilon}\nu\ \tau\acute{\omicron}\theta\ \omicron\iota\kappa\alpha\ \text{H}\sigma\alpha\upsilon$ - არა იყოს მეცეცხლე სახლსა

ისავისსა GSB; არა იყოს უცეცხლო სახლი ესავისი OJ.

πυρο-φόρος, $\omicron\nu$, ($\pi\upsilon\rho\acute{\omicron}\varsigma$, $\phi\acute{\epsilon}\rho\omega$) *wheat-bearing* (LSJ) სიტყვასიტყვით: ც

ეცხლის-მომტანი.

დავუბრინდეთ კალკურ კომპოზიტებს. მოყვანილი მაგალითებიდან უკანასკნელში ბერძნული $\acute{\epsilon}\nu\acute{\upsilon}\pi\nu\iota\alpha$ -ს („სიზმარი“) ფორმალურ გადმოტანასთან გვაქვს საქმე, თუმცა ბერძნულის წინდებული ($\acute{\epsilon}\nu$) ქართულში უკუდებულადაა გადმოტანილი, შედეგად კი ქართული ლექსიკური ფონდისთვის ახალ და უჩვეულო კომპოზიტს ვიღებთ. აქვე ამ კომპოზიტით ნასახელარი ზმნაც არის ნაწარმოები - იძილისშორისვიდენ. ზმნების ამგვარი

წარმოება გელათის ენისთვის უთუოდ ერთ-ერთი მახასიათებელ ნიშნად უნდა გამოიყოს. განსაკუთრებით პროდუქტიულია *ი-* ხმოვანპრეფიქსით ნაწარმოები ზმნები. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

იოვ. 2:22 ... **იმორჩეს** ველთა უდაბნოდასათა G

βεβλῆσθηκεν πεδία τῆς ἐρήμου (Joel 2:22 BGT)

მიქ. 3:4 მიიქციოს პირი თვის მათგან მას ჟამსა შინა მის წილ, რომელ **იბოროტეს** სიმარჯუჭთა მიერ მათთა. G

... ὃν ἐπονηρεῖσάντο ἐν τοῖς ἐπιτηδεύμασιν αὐτῶν ἐπ' αὐτοὺς (Mic. 3:4 BGT)

მიქ. 3:12 თქვენ ძლით სიონი ვითარცა ყანაჲ **მოიერქუნოს**. G

διὰ τοῦτο δι' ὑμᾶς Σιών ὡς ἀγρὸς ἀροτριάθήσεται (Mic. 3:12 BGT)

სოფ. 3:11 არ სირცხვლეულ-იქმნე ყოველთაგან სიმარჯუჭთა შენთა, რომლითა **იუთნოე** ჩემდამო. G

μὴ καταίσχυσῃς ἐκ πάντων τῶν ἐπιτηδεύμάτων σου ὃν ἡσέβησας εἰς ἐμέ (Zeph. 3:11 BGT)

მიქ. 2:4 **იგოდებოს** გოდებაჲ კილოდა, მეტყუფლი: საარებაჲ **ვისაარებეთ**. G

θρηνηθήσεται θρήνος ἐν μέλει λέγων ταλαίπωρίᾳ ἐταλαίπωρήσαμεν (Mic. 2:4 BGT)

იოელ. 3:14 ოხრანი **იოხრნეს** დელესა შინა საშჯელისასა G

ἦχοι ἐξήχησαν ἐν τῇ κοιλίᾳ τῆς δίκης (Joel 4:14 BGT)

ამოს. 1:13 (კატ.) მათგან მომუშავებელი ქუჭყანაჲ **მოინაყოფონ** S-417, K-3.

αὐτοὶ τὴν ὑπ' ἐκείνων γεαργουσμένην **καρπῶσονται** γῆν (Theodoretus)

დერივაცია

წინდებულების გამოყენება დერივაციისთვის. ქართულში წინდებულები აქტიურად გამოიყენება ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად, წინდებულთა სემანტიკა იძლევა სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ახალი შინაარსით დატვირთვის საშუალებას.

განსაკუთრებით პროდუქტიული ჩანს *გან-* წინდებული. მეტაფრასულ კრებულებში (K-1) შესული მიქეას წინასწარმეტყველების თეოდორიტესეულ განმარტებაში მიქეას გვხვდება *განდღეება* ფორმა:

მიქ. 2:1 *განდღეებასავე* თანაშეასრულებდეს მათ. K-1 *ἀμα τῇ ἡμέρᾳ* συν-ετέλουν αὐτὰ

შდრ.: *მეცესელად დღისი* და ნათლივ აღასრულებდეს მათ G და ნათლივ C2

ერთბამად დღისი აღასრულებდეს მას. OJ

როგორც გამოჩნდა, ბერძნული *ἀμα τῇ ἡμέρᾳ* ადეკვატურადაა გადმოტანილი ოშკურ-იერუსალიმურ და გელათურ ვერსიებში, თუმცა ოშკურ „*ერთბამად დღისი*“ ფორმას გელათი უფრო აზუსტებს – „*მეცესელად დღისი*“. მეტაფრასიულ ტექსტში კი მთარგმნელი უფრო შორს წავიდა და ორი ბერძნული სიტყვის ეკვივალენტად ერთი *განდღეებასავე* ფორმა აირჩია, სათქმელი იგივეა, ნათქვამი კი უფრო სხარტი და მარჯვე. ამ ეფექტს მთარგმნელი ერთი მხრივ *გან-* წინდებულის გამოყენებით და მეორე მხრივ *-ვე* ნაწილაკის დართვით აღწევს. რაც, ცხადია, იმაზე მიაწინებებს რომ იგი შესანიშნავად იცნობს ქართული ენის ბუნებას და აფიქსების პოტენცილს. თანაც, ამ კონტექსტში ბერძნულში აღწერითი წარმოებაა, ქართველი მთარგმნელი კი ეჯიბრება ბერძნულს და სათქმელი არა აღწერითად, არამედ ერთი ლექსიკური ერთეულით გადმოაქვს.

გან- ზმნისწინის პოტენციალთან დაკავშირებით, საინტერესოა გელათის ბიბლიაში, 2სჯ. 26:13-თან დაკავშირებული მარგინალური კომენტარი. ვნახოთ ეს მუხლი და შემდეგ ამაზე მიწერილი შენიშვნა:

[2სჯ. 26:13] *განვბიწენ* წმიდანი სახლისაგან ჩემისა და მივსცენ ივინი ლევიტელსა და მწირსა და ობოლსა და ქურივსა მსგავსად ყოველთა მცნებათა შენთა და არა დავივიწყე. G

ἐξεκρίθαρα τὰ ἅγια ἐκ τῆς οἰκίας μου καὶ ἔδωκα αὐτὰ τῷ Λευίτῃ καὶ τῷ πρὸς ἡλῆτῳ καὶ τῷ ὀρφανῷ καὶ τῇ χήρᾳ κατὰ πάσας τὰς ἐντολάς ἃς ἐνετείλα μοι σὺ παρ' ἡλθον (Deut. 26:13 BGT)

„ახალი არს ლექსი განვბიწენ“: ვითარცა იტყოდა, ვითარმედ „ბიწნი განვჰყარენ“, ვითარ-იგი ნაქურცენთა რადასათამე განმყრელნი, ვიტყოდით, ვითარმედ „განვქურცენ“ (A 1108, 129v).

სალაპარაკო ენაში გავრცელებული „განვქურცენ“ ზმნის ანალოგიით ნაწარმოებ, ბერძნულის ფორმალურ კალკთან, „განვბიწენ“ ფორმასთან დაკავშირებით, დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ავტორი „შესანიშნავად გრძნობს გან- ზმნისწინის შესაძლებლობას, გამოხატოს ერთი საგნის მეორესგან განშორების ფუნქცია და მარჯვედ იყენებს ამ შესაძლებლობას ორშემადგენლიანი ცნების (ბიწნი განვყარენ) ერთი ლექსემით (განვბიწენ) გამოხატვისთვის“ (მელიქიშვილი, გელათის აკადემია: სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი, სასწავლებელი ყრმათათჳს, 2019, გვ. 171)

ზემოთ განხილული მაგალითიდანაც გამოჩნდა, რომ გელათის კატენებიანი ბიბლია, ისევე, როგორც გელათური მეტაფრასული კრებულები, ნამდვილად მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია ძველი ქართული ფილოლოგიური მუშაობის პრინციპებზე დასაკვირვებლად. ამიერზე მრავლად დართული ტექსტოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ხასიათის შენიშვნები კი მის მნიშვნელობას, რასაკვირველია, უფრო მეტად ზრდის.

ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები. ცხადია, სახელთა დერივაციაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმების წარმოებას. ამისთვის გელათის ბიბლიასა და მეტაფრასულ კრებულებში შესულ ამოს და მიქეა წინასწარმეტყველების ტექსტებში, ძირითადად, უ- -ეს კონფიქსი გამოიყენება:

„არა უკნინეს იყო ათასეულთა იუდაისტა შორის ყოფითა“ K-1. შდრ.: *მცირე ხარ ყოფად ათასეულა... (აქ ტექსტი წყდება)* G. ὁ λιγιστὸς εἶ τοῦ εἶναι ἐν χιλιάσιν Ιουδα (Mic. 5:1 BGT)

[მიქ. 3:12, კატენი] ხოლო უკუმარიტეს სახილველ არს აღსასრული ამის წინადაწარმეტყველებისად. K-1

ἀκριβέστερον δὲ ἔστιν ἰδεῖν τῆς προφητείας τὸ τέλος (Theodoretus, Interpretatio in xii prophetas minores)

[მიქ. 4:1-2-3, კატენი] ხოლო სახილველ არიან საღმრთონიცა ტამარნი, საშუალ ქალაქთა და უბანთა და დაბათა და შორიელობათაჲსა მდებარნი, სიდიდითა და სიკეთითა მშუწნვარენი, ვიდრელა თვთ მათ მაღალთა მათათაჲსა უმესწავებულესად და უსაჩინოესად მყოფნი. K-1

... ὥς καὶ αὐτῶν τῶν ὑψηλοτάτων ὁρῶν ἐπιστημότερους εἶναι, καὶ περιφανεστέρους. (Theod.)

რომელი უცხადესადრე ასწავა სვმმახოს (G, ამოს. 1:3-ის კატენი)

უშორელესსარე წინა-აუწყებს (G, ამოს. 5:24-ის კატენი)

შთავედით გეთდ უცხოტომთად : უმტკიცესთა ყოველთაგან მეფობათა მათთაჲსა, უკეთუ უმრავლეს არიან საზღვარნი მათნი საზღვართა თქუენთა (G, ამოს. 6:2).

ამის ზე ქმნა წინადაწარმეტყველებად ესე საღ(მრ)თომ(ა)ნ სოფონია : ხ(ოლო) უსაღმრთოესმან იერემია სამსა და მეათესა წელსა ამისისა მეფ'ობისასა წინადაწარმეტყველებად იწყო (G, სოფონია, მიზეზი).

ცეცხლმან უდაბნოდთ გამომ(ა)ნ მოწუა უმაღლესი ადგილი მისი (G, ნაუმი, „ითარგმანების“).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად, ამგვარ, ერთი შეხედვით, უჩვეულო, ახლებურ წარმოებას უფრო ხშირად სწორედ კატენში ვხვდებით. ბიბლიის ტექსტი უფრო მარტივია, ნაკლებია კომპოზიცია და დერივაცია, თეოდორიტეს ენა კი უფრო მდიდარი ბერძნულია, მდიდარი ლექსიკითა და სტილისტურ საშუალებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ასეთ სათარგმნ ტექსტთან „შეჯიბრი“ უფრო მეტს ახედვინებს

მთარგმნელს. ამის საილუსტრაციოდ ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ დიალექტური ფორმაც, რომელიც K-1-ში სწორედ კატენის ტექსტში შეგვხვდა:

„დაზერგნილნი“ – [მიქ. 7.11] „რამეთუ თუალნი ჩემნი ხედვიდენ მას, და იყოს დასათრგუნველ, ვითარცა გზათა შინა თიკად დღესა ალიზისა ცხებისასა და აღგოცოს შენ დღემან მან“. რამეთუ ვითარ-სახედ საგოზლად და საცხებელად ალიზთადასა შემზადებული თიკად, კარსა მიყრილი, თანაწარმავალთა ყოველთაგან ითრგუნვის ვიდრე ზელტთა მათ საწმრად დადნობამდე, ეგრეთ იყო ჯელსა შინა ყოველთასა ადვილ წარსატყუწველად, ყოველთა გარემომკვდრთაგან **დაზერგნილნი** და აღსპოლვილი“.

ვრცელი კონტექსტი მოცემული დიალექტური ფორმის მნიშვნელობის უკეთ გასაგებად დაგვჭირდა. კონტექსტიდან ნათელია, რომ „დაზერგნილი“ გატკეპნილს, აზელილს ნიშნავს. სწორედ ამ მნიშვნელობითაა ეს სიტყვა შეტანილი მეგრულ-ქართულ ლექსიკონში:

ზარგანელ-ი (ზარგანელს) მიმღ. ვნებ. წარს. ტალახივით მოზელილი, ერთმანეთში უშნოდ არეული, [და]ზერგნილი (ქაჯაია, 2001).

გელათელი მთარგმნელების მიერ დასავლური და, კერძოდ, მეგრული ლექსიკისთვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენება არ არის უჩვეულო.

საობიექტო მიმღეობის გარდა, რომელიც როგორც ვნახეთ, მიქეას წინასწარმეტყველების თეოდორიტეს განმარტების კატენში გვხვდება, ამოს წინასწარმეტყველის თეოდორიტესეულ განმარტებაში გვაქვს სასუბიექტო მიმღეობაც, ოღონდ არა კატენის, არამედ ბიბლიური ციტატის - კიმენის ტექსტში:

ამოს. 2:7 **დამზერგნელთა** მიწისათა ქუეყანასა ზედა, და ლერწმვიდეს თავთამი გლახაკთადასა, და გზად მდაბალთად გარდადრიკეს (S-417, 103r; K-3, 161v), შდრ.: **მთრგუნველთა** მტურსა ზედა ქუეყანისასა და დაჰჯურთნიდეს თავებსა გლახაკთასა და გზათა მდაბალთასა განსდრეკდეს. G.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აქაც, ისევე, როგორც ზოგადად, სხვა შემთხვევებშიც, თოდორიტეს კიმენი მნიშვნელოვნად არ სხვაობს სეპტუაგინტასგან, ანუ გელათის ბიბლიასა და ეგზეგეტიკურ თხზულებების კიმენს შორის განსხვავებები დედნით ვერ აიხსნება:

τῶν καταπατοῦν⁴ τῶν ἐπὶ τὸν χοῦν τῆς γῆς· καὶ ἐκονδύλιζον εἰς κεφαλὰς πτωχῶν, καὶ ὀδὸν ταπεινῶν ἐξέκλινον (Theodoretus, Interpretatio in xii prophetas minores, 1857-1866, p. 1672)

τὰ πατοῦντα⁵ ἐπὶ τὸν χοῦν τῆς γῆς καὶ ἐκονδύλιζον εἰς κεφαλὰς πτωχῶν καὶ ὀδὸν ταπεινῶν ἐξέκλιναν (Amos 2:7 BGT).

გონ ძირიდან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები. **გონ** (voin) ძირიდან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები საკმაოდ ბევრი ქართულში. ამ ფუძის „გააქტიურება“, ქართული მაწარმოებლების პოტენციალის გათვალისწინებით ახალი მნიშვნელობების წარმოება გელათის სკოლას და გელათელ მოღვაწეებს უკავშირდება (მელიქიშვილი, 2011, გვ. 255-256).

გონ ძირიდან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები გვხვდება როგორც მცირე წინასწარმეტყველთა გელათის ბიბლიისეულ ტექსტში, ისე – ამოსისა და მიქეას მეტაფრასულ კრებულებში შესულ თეოდორიტეს განმარტებებში. **გონ**- ძირიდან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების ბერძნული შესატყვისები მრავალფეროვანია: ზმნური ფორმები - *λογίζομαι, δοκέω, γινώσκω, νοέω*, და სახელური - *ἄ-νοια*.

⁴ **καταπατοῦν** - Participle neut/masc gen pres part act pl Verb pres imperat act 3rd pl from **καταπατέω** - *trample under foot* (LSJ).

⁵ **πατοῦντα** - verb participle present active nominative neuter plural from **πατέω** - *tread, walk, tread on, tread; 2. walk in, i.e. dwell in, frequent; 3. tread under foot, trample on* (LSJ).

საინტერესო სურათი გვიჩვენა ამ კონტექსტების გელათის ბიბლიასა და ოშკურ-იერუსალიმურ ვერსიასთან შედარებამ. ვნახოთ ზოგიერთი ნიმუში:

ვ-გონ-ებ (λογίζομαι)

(მიქ. 2:3) ἰδοὺ ἐγὼ λογίζομαι

აჰა-ესერა მე განვიზრახე OJ

აჰა მე ვგულისხმობ G

აჰა, მე ვგონებ K-1

ვ-სა-გონ-ებ-ლ-ობ-დ ἐδόκουν (δοκέω) (მიქ. 1:3, კატ.) არა ვსაგონებლობდ ხედვასა S-417, K-3

გა-ი-გონ-ე ἔγνων (γινώσκω) (მიქ. 4:9) ἴνα τί ἔγνων κακά

რამათვს სცან (სცნენ G) ბოროტი? OJG

რამათვს ბოროტად გაიგონე? K-1

გა-ი-გონ-ნ-ედ νοήσειεν (νοέω) (მიქ. 2:4, კატ.) ამიერ წინადასწართქმულნიცა ადვილ ვინმე გაიგონედ K-1.

Ἐντεῦθεν καὶ τὰ πρόσθεν εἰρημένα ῥᾶον ἅν τις νοήσειεν· (Theodoretus)

მო-მ-გონ-ებ-ელ λογίζόμενοι (λογίζομαι) (მიქ. 2:1) იქმნეს შემრაცხელ (შერაცხილ OJ)

შრომათა OJG

იქმნეს მომგონებელ ჭირთა K-1

ἐγένοντο λογίζόμενοι κόπους

სა-გონ-ის δοκεῖ (δοκέω) ჩემდა ჭეშმარიტებისა შორს-ყოფად საგონის ესე, რამეთუ... (ამოს. 1:6, კატ., S-417, K-3)

Ἐμοὶ δὲ πῶς τῆς ἀληθείας εἶναι τοῦτο δοκεῖ· (Theodoretus)

უ-გონ-ებ-ო-დ ἄνους (ἄ-νοος) ოს. 7:11 და იყო ეფრემ, ვითარცა ტრედი უგონებო SB;

და იყოს ეფრემ, ვითარცა ტრედი უგულისხმო O

καὶ ἦν Εφραίμ ὡς περιστερὰ ἄνους

უ-გონ-ებ-ო-თ-ა ἀνοήτων (ἄ-νοια) (მიქ. 1:15, კატ.) გეთადმდე ოკერ იკმნეს (!) ქუეყანად შენი, ვინადათა უგონებოთა ისრაელისა მეფეთა შეუდეგ უსახურებასა. K-1

καὶ ἔως Γεθ ἔρημος ἡ γῆ σου γενήσεται, ἐπειδὴ τῇ τῶν ἀνοήτων τοῦ Ἰσραὴλ βασιλέων ἠκολούθησας ἀσεβείᾳ (Theodoretus)

გა-გონ-ება-დ νοήσαι (νοέω) (მიქ. 4:1-3, კატ.) ხოლო უკუეთუ ბორცუზებად და მთებად ძუჭლად მათ შორისთა ტამართა მკლველთა ეშმაკთასა გაგონება ვითემე ინებონ, ეგრეთცა საწინადასწარმეტყულოდ სიტყუად ჭეშმარიტებითა შემკულად იპოოს.

Εἰ δὲ καὶ βουνούς καὶ ὄρη, τὰ πάλαι ἐν τούτοις τῶν ἀλαστόρων δαιμόνων τεμένη νοήσαι τις ἐθελήσει, καὶ οὕτως εὐρήσει τὸν προφητικὸν λόγον ἀληθεῖα κοσμοῦμενον· (Theodoretus)

-ობა/-ება მაწარმოებლიანი სახელები

კომპოზიტი+ობა: ერთვობა (იოველი, „თავნი, G); დღეკეთილობა (ამბაკუმი, „მიზეზი“, G)

უყოლობა-უქონლობის სახელები+ობა: უნაყოფოება (იოველი, „თავნი, G); უტყუველობა (ამოს. მიზეზი, G); უძალოობა (ამოს. 2:2, G, უძლურება OJ).

ყოლა-ქონის სახელები + -ობა: ცხენიანობა (ამბ. 3:8 G) ἢ ἰππασία σου σαπηρία, ცხენიანობად შენი - მაცხოვარება GSB (მდრ.: მკედრობად შენი ცხორება არს OJ).

ვითრებითი ბრუნვა ახალ ფუძედ. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი (-ად/-დ) ძველ ქართულში ხშირად გამოიყენება ახალი ფუძეების საწარმოებლად. უფრო ზუსტად, სახელის ვითრებითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნვით მიიღება ახალი ლექსიკური ერთეულები. ამგვარი წარმოება განსაკუთრებით ხშირია საწყისებში, რასაც ახალი გრამატიკული მნიშვნელობის შექმნაც ახლავს. როგორც ი. იმნაიშვილი მიუთითებს, ასეთი

წარმოება „ასრულებდა მიმღეობის როლს, რომელსაც მომავალი დროის გაგება ჰქონდა და ერთგვარ აუცილებლობას გამოხატავდა. ასე, მაგალითად, **განკრწნადი** არის ის, რაც აუცილებლად უნდა გაიხრწნას, რაც აუცილებლად გაიხრწნება, **ყოფადი** – რაც აუცილებლად უნდა იქნას (იქნება)“ (იმნაიშვილი, 1957, გვ. 755). მომავალი დროის მიმღეობების როლს ასრულებს ამოს და მიქეა წინასწარმეტყველების თეოდორიტესეულ განმარტებაში დადასტირებული მსგავსი წარმოების სიტყვა-ფორმებიც (ვითარებით ბრუნვაში მდგარი საწყისის ხელახალი ბრუნება). აქვე აღვნიშნავთ, რომ ვითარებითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ბიბლიურ ტექსტში⁶ არ შეგვხვდერია. თავისი სპეციფიკური მნიშვნელობის გამო, ამგვარი დერივაციული მოდელები ძირითადად გვხვდება თეოდორიტეს „მიზეზსა“ და „თავნის“ ნაწილში, სადაც მოკლედაა გადმოცემული თუ რის შესახება ესა თუ ის წინასწარმეტყველება:

ყოფადი (მიზეზი იოილისი, G, 281r, მიზეზი ამოსისა, G, 284r),

მოცემადი (მიზეზი იოილისი, G, 281r)

მოწეგნადი (მიზეზი ამოსისა, G, 284v)

შემთხუზადი (თავნი იოილისი, გ, 281v, მიზეზი ამოსისა, 284v)

ქმნადი (ამოს. 3:11, კატ., S-417, K-3)

მირთუმადი (ამოს. 5:21-23, კატ., S-417, K-3) და ა.შ.

მხოლოდ ერთ შემთხვევაშია ნავითარებითარი სახელი განსხვავებული მნიშვნელობით გამოყენებული:

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი + -ად ვით. ბრ. ნიშანი: *თითოეულ-ად-ი* (მიზეზი ამოსისა, G, 284r), შდრ.: კერძობით S-417, K-3.

(κατὰ) μέρος – with Preps., ἀνὰ μέρος in turn, successively (LSJ)

აქ საუბარია სიმრავლიდან ცალკეულად გამოყოფილ წევრებზე, -ად ვით. ბრ. ნიშანი კი ამ მნიშვნელობის გამაძლიერებელ აფიქსად გვევლინება.

-ობ სუფიქსი. სახელთა დერივაციისთვის გამოყენებულ აფიქსებს შორის უნდა ვახსენოთ **-ობ** სუფიქსიც:

ზაქ. 7:7 ოდეს იყო იზრუსალიმი დამკვდრებული და წარმართებული და ქალაქი გარემოჲს მისსა და **მთობი** და **ველობი** დამკვდრებულ იყო.

ὅτε ἦν Ἱερουσαλὴμ κατοικοῦμένη καὶ εὐθυοῦσα καὶ αἱ πόλεις αὐτῆς κυκλόθεν καὶ ἡ ὄρεινὴ καὶ ἡ πεδινὴ κατὰ κεῖτ (Zech. 7:7). **ὄρεινός, ἡ, ὅν** – *mountainous, hilly; substantively ἡ ὄρεινὴ hill country, mountainous region* [Fri]; **πεδινός, ἡ, ὅν** *of the shape of the terrain flat, level, even* [Fri].

მთობი მოცემული კონტექსტის გარდა გელათის ბიბლიაში სხვაგან არ იძებნება, *ველობი* კი იერ. 48:8-ში გვხვდება ისევ ბერძნული **πεδινός**-ის ეკვივალენტად: იერ. 48:8

⁶ განვმარტავთ, რომ გელათის ბიბლიაში მცირე წინასწარმეტყველთა თითოეულ ტექსტს უძღვის თეოდორიტეს „მიზეზი“ (ἀπόθεσις, Argumentum), სადაც მოკლე ინფორმაციაა წინასწარმეტყველების ავტორისა და ტექსტის შესახებ, „მიზეზს“ მოსდევს „თავნი“, სადაც თითოეული თავის ძალიან მოკლე, ერთ ან ორწინადადებიანი შეჯამებაა მოცემული, შემდეგ იწყება უშუალოდ ტექსტი, თხრობის დადასრულს კი ერთვის ე.წ. „ითარგმანების“, სადაც წინასწარმეტყველთა სახელების ეტიმოლოგიის, მათი აღსასრულისა და უკანასკნელი განსასვენებელის შესახებაა ინფორმაცია მოცემული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ნაწილი საკმაოდ დაზიანებული და დეფექტურია, ზოგიერთი ფურცელი დაკარგულია, თუმცა ჩვენამდე მოღწეული ნაწილის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავდაპირველად სწორედ ამგვარი სტრუქტურით იყო წარმოდგენილი გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ყველა ტექსტი. საბას ბიბლიაში, ცხადია, „ზედმეტი“ ნაწილები გადატანილი არაა, გასაგები მიზეზების გამო საბას ინტერესს მხოლოდ კიმენი წარმოადგენდა.

წარწყმდეს ღელე, და მოისრას ველობი, ვითარცა თქუა უფალმან. ἀπολείται ὁ αὐτὸς καὶ ἐξολεθρευθήσεται ἢ **πενιὴ** καὶ ἐῖπεν κύριος (Jer. 31:8 BGT)

ზაქ. 9:17 იფელი *კაბუკიდა* და ღვინო *მსულნელობი* ქალწულთა. SB (deest G) σῖτος νεανίσκοις καὶ οἶνος **εὐδαιμόνων** εἰς παρθένους (Zech. 9:17 BGT) **εὐδαιμόνω** - *have a sweet savour* (LSJ).

ეს უკანასკნელი მაგალითი ზაქარიას წინასწარმეტყველების იმ მონაკვეთიდანაა, რომელიც ამჟამად გელათის ბიბლიაში წარმოდგენილი არ არის და რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მაშინ, როდესაც სულხან-საბა მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტების გამოცემაზე მუშაობდა. ამაზე გელათური სკოლისთვის დამახასიათებელი -*იდ* სუფიქსიანი სქესის გამოშატეველი სახელიც მეტყველებს. ამიტომ უპრიანად მივიჩნევთ ამ ნაწილის განხილვასაც გელათის ბიბლიის ენაზე მსჯელობისას.

მართალია, *მთობი*, *ველობი* და *მსულნელობი* არ დამკვიდრდა ქართულ ლექსიკურ ფონდში, მაგრამ მსგავსი წარმოება რომ ენის შინაგან კანონებს ასახავს, ამაზე ენაში დამკვიდრებული მსგავსი წარმოების ლექსიკური ერთეულები მიუთითებს: *დაბლობი*, *მალლობი*, *ბეჭობი*, *ტაფობი*, *ლიობი*, *ყანობი*...

-*ობ* აფიქსის შესახებ თ. ჟრდანია 1889 წელს გამოცემულ „ქართულ გრამატიკაში“ მიუთითებს, რომ: „ნაკვეთი «x — ობი» ხშირად იხმარება არსებით სახელად, ადგილ-მავითარებლად“ (ჟრდანია, 1889, გვ. 92). აქვე შენიშნავს, რომ „ძველს ენაში ხშირად ხმარებულა ამ მონაკვეთის მაგიერ სხვა უფრო რთული «x — ობ-ირი»; მაგ. ყან-ობ-ირი = დათესილი ადგილები, დაბ-ობირი = დაბებით ანუ სოფლებით მოშენებული, დასახლებული“ (ჟრდანია, 1889, გვ. 92). -*ობ* სუფიქსის ორ ფუნქციას გამოყოფს მ. ტუსკია: 1. ადგილის სახელთა მაწარმოებელი: (ბურც-ობ-ი, გვერდ-ობ-ი, ბუდ-ობ-ი, ცერ-ობ-ი...; 2. თვისების სახელთა სიმრავლე-კრებითობის აღნიშვნა: ღრანტ-ობ-ი, მლამ-ობ-ი, რბილ-ობ-ი... (ტუსკია, 2004, გვ. 116-117)

ვფიქრობთ, -*ობ* სუფიქსი ქონების სახელთა მაწარმოებელ აფიქსად უნდა განვიხილოთ. და ზემოთ მოყვანილი ციტატაც ზაქარიას წინასწარმეტყველებიდან ასე უნდა გავიგოთ: **მთიანი** და **ველიანი** [ადგილები] დამკვდრებული იყო.

დასკვნა. ენის დახვეწა და მისი გამრავალფეროვნება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც როგორც ენაში მიმდინარე შიდა მოვლენებს, ისე სხვა ენებთან კონტაქტებს უკავშირდება. ენის განვითარების პროცესში მთარგმნელებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ, რადგან მათი საქმიანობა ენის ლექსიკური და სტრუქტურული შესაძლებლობების გაფართოებას უწყობს ხელს.

ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ორი ძირითადი გზა არსებობს: სესხება, ანუ სხვა ენებიდან სიტყვების გადმოტანა, და სიტყვაწარმოება, რომელიც მოიცავს ახალ სიტყვათა წარმოქმნას გრამატიკული საშუალებებით. სიტყვაწარმოებას ორი ძირითადი მეთოდი აქვს: დერივაცია (ფუძესთან აფიქსების დამატება) და კომპოზიცია (ორი ან მეტი სიტყვის შერწყმით ახალი სიტყვების შექმნა). ქართული ენა ორივე მეთოდით აქტიურად ვითარდება და მისი ლექსიკური მარაგი მუდმივად მდიდრდება.

ქართული ენის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ბერძნულ ენასთან მისი ისტორიული ურთიერთობა. მთარგმნელები ხშირად ბერძნული ენის სტრუქტურას მიჰყვებოდნენ, რაც ქართულში კალკური კომპოზიტების გაჩენას განაპირობებდა. თუმცა, ქართული ენის კომპოზიციის მოდელები უფრო მრავალფეროვანია, რაც საშუალებას აძლევდა მთარგმნელებს, დედნის იმიტაციის გარდა, ახალი ლექსიკური ერთეულებიც შეექმნათ და ამგვარად ქართული ენის ლექსიკა კიდევ უფრო განვითარებინათ.

გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა და მეტაფრასულ კრებულებში შესული ამოს და მიქეა წინასწარმეტყველების ტექსტების ენობრივი ანალიზი ცხადყოფს,

რომ ტექსტში სიტყვათწარმოების პროცესში უფრო მეტად დერივაციაა განვითარებული, ვიდრე კომპოზიცია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპოზიციამაც დასტურდება ნოვატორული მიდგომები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ გელათის თარგმანში კომპოზიტურ წარმოებაში აქტიურად ჩართულია თანდებულები და ზმნისართები, რაც მანამდე ჟღერდა ქართულ ენობრივ ტრადიციაში შედარებით იშვიათი მოვლენაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დიაკრიტიკული ნიშნების – სვნემბას, იოტას, ოქსიასა და ვარიას – გამოყენება, რომლებიც მკაფიოდ მიაწვდიან გელათურ ხელნაწერებში არსებულ ორთოგრაფიულ ტრადიციებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოტას გამოყენება მეტაფრასულ კრებულებში, რაც კონტრაქციის აღნიშვნისა და კომპოზიტურ სიტყვათა მკაფიო გამოყოფის ერთგვარ მარკერად გვევლინება. თუმცა, გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტებში ასახული ვითარება რამდენადმე განსხვავდება ეფრემის მიერ აღწერილი წესებისგან.

გელათის ბიბლიის ენაზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია საბას ბიბლია, რომელიც, როგორც გამოჩნდა, გელათის ბიბლიის დღევანდელ ლაკუნებს ავსებს, ე.ი. საბას მუშაობის დროს გელათის ბიბლია (ყოველ შემთხვევაში, მცირე წინასწარმეტყველთა ნაწილი) უფრო სრული იყო, ვიდრე დღეს. ამდენად, საბას ბიბლიას უდიდესი როლი ეკისრება გელათის ლაკუნების რეკონსტრუქციისათვის.

გელათის ბიბლიის ენობრივი თავისებურებები გვიჩვენებს, რომ ეს თარგმანი მნიშვნელოვანწილად აგრძელებს ძველ ქართულ თარგმანთაგან მომდინარე ლექსიკურ და სტილისტურ ტრადიციებს. აქ გვხვდება როგორც ძველი, ოშკურ-იერუსალიმური ვერსიიდან გადმოსული ლექსიკური ერთეულები, ისე ნოვატორული წარმოებები. ამგვარად, გელათის ბიბლია მნიშვნელოვანი წყაროა როგორც ქართული ენის განვითარების, ისე შუა საუკუნეების თარგმანთა მეთოდოლოგიის შესწავლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- თვალთვაძე, დ. (2009). *ეფრემ მცირის კოლოფონები*. თბილისი: ნეკერი.
- იმნაიშვილი, ი. (1957). *სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში*. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ინწკირველი, დ. (2007). *მიქეას წინასწარმეტყველების გელათური კატენები*. თბილისი.
- მელიქიშვილი, დ. (2011). *ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მელიქიშვილი, დ. (2019). *გელათის აკადემია: სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი, სასწავლებელი ყრმათათჳს*. თბილისი: ლოგოსი.
- მრევლიშვილი, ნ. (1957). კომპოზიტები ქართულ ენაში. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. ტ. 67, გვ. 165-184.
- ჟორდანია, თ. (1889). *ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი)*. ტფილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.
- სარჯველაძე, ზ. (1997). *ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ)*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ტუსკია, მ. (2004). *სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ქაჯაია, ო. (2001). *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. I. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი, თ. (1952). კომპოზიტები ძველ ქართულში. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. ტ. 47, გვ. 59-90.

- ხარანაული, ა. (2024). სიდიდისა და სიმრავლის მნიშვნელობის სეგმენტებით შედგენილი კომპოზიტების გადმოტანა ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში. *ქართული ენის კათედრის შრომები*. გვ. 170-184.
- ჯუღელი, ვ. (2008). *ნეტარი თეოდორიტე კვირელი: ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები*. ტ. I. თბილისი: ლოგოსი.
- LSJ – The Online Liddell-Scott-Jones Greek-English Lexicon, <https://stephanus.tlg.uci.edu/ljs/>
- Theodoretus. (1857-1866). Interpretatio in xii prophetas minores. In J.-P. Migne, *Patrologiae cursus completus (series Graeca) (MPG)*, 81 (pp. 1545-1988). Paris.

ხელნაწერების ლიტერები

- G – ხეც, A-1108, გელათის კატენებიანი ბიბლია (XII-XIII სს.).
- O – Ivir.Geo.1, ოშკის ბიბლია (978-979 წწ.).
- J – Jer.Geo. 11/7 3 (XI ს.).
- S – ხეც, A-51, საბას, იგივე მცხეთური ბიბლია (XVII-XVIII სს.).
- B – ხეც, A-455, ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია (1783 წ.).
- L^p – BnF Geo. N3, პარიზის ლექციონარი (X-XI სს.).
- S-417 – ხეც, მეტაფრასული კრებული (XII-XIII სს.).
- K-1 – ქსიმ, მეტაფრასული კრებული (XVI ს.).
- K-3 – ქსიმ, მეტაფრასული კრებული (XVI ს.).

REFERENCES

- tvaltavadze, d. (2009). *eprem mtsiris k'oloponebi [Colophons of Ephrem the Minor]*. Tbilisi: Nekeri.
- imnaishvili, i. (1957). *sakhelta bruneba da brunvata punktsebi dzvel kartulshi [Declension and the functions of cases in Old Georgian]*. Tbilisi: Publishing House of Tbilisi State University.
- ints'k'irveli, d. (2007). *mikeas ts'inasts'armet'qvelebis gelaturi k'at'enebi [The Gelati catenae on the prophecy of Micah]*. Tbilisi.
- melikishvili, d. (2011). *dzveli kartuli pilosopiur-teologiuri t'erminologiis ist'oriidan [From the history of Old Georgian philosophical-theological terminology]*. Tbilisi: Tbilisi University Press.
- melikishvili, d. (2019). *gelatis ak'ademia: skhua atina da meore ierusalimi, sasts'avlebeli qrmatat'z [The Gelati Academy: The second Athens and the new Jerusalem, a school for the youth]*. Tbilisi: Logosi.
- mrevlishvili, n. (1957). *k'omp'ozit'ebi kartul enashi [Composites in the Georgian language]*. *tbilis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi [Works of Tbilisi State University]*. Vol. 67, pp. 165-184.
- zhordania, t. (1889). *kartuli grammat'ik'a (et'imologia da sint'aksi) [Georgian grammar (Etymology and syntax)]*. Tbilisi: Ekvtime Kheladze Press.
- sarjveladze, z. (1997). *dzveli kartuli ena (t'ekst'ebita da leksik'oniturt) [Old Georgian language (with texts and lexicon)]*. Tbilisi: Publishing House of Tbilisi State Pedagogical Institute.
- t'usk'ia, m. (2004). *sakhelta apiksuri ts'armoeba akhal salit'erat'uro kartulsa da dialekt'ebshi [Affixal derivation of nouns in Modern Literary Georgian and dialects]*. Tbilisi: Tbilisi: Tbilisi University Press.
- kajaia, o. (2001). *megrul-kartuli leksik'oni [Megrelian-Georgian dictionary]*. Vol. I. Tbilisi.
- qaukhchishvili, t. (1952). *k'omp'ozit'ebi dzvel kartulshi [Composites in Old Georgian]*. *tbilis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi [Works of Tbilisi State University]*. Vol. 47. pp. 59-90.
- kharanauli, a. (2024). *sididisa da simravlis mnishvnelobis segment'ebit shedgenili k'omp'ozit'ebis gadmot'ana dzveli aghtkmis kartul targmanebshi [Translation of quantity and plurality meaning composites in the Old Testament Georgian versions]*. *kartuli enis k'atedris shromebi [Works of the Department of Georgian Language]*. pp. 170-184.

jugheli, v. (2008). *net'ari teodorit'e k'vireli: tskhovreba, moghvats'eoba, mrts'amsi, tkhzulebebi da mati kartuli targmanebi* [The Blessed Theodoret of Cyrus: Life, works, doctrine, and their Georgian translations]. Vol. I. Tbilisi: Logosi.

LSJ – The Online Liddell-Scott-Jones Greek-English Lexicon, <https://stephanus.tlg.uci.edu/lsg/>

Theodoretus. (1857-1866). Interpretatio in xii prophetas minores. In J.-P. Migne, *Patrologiae cursus completus (series Graeca) (MPG)*, 81 (pp. 1545-1988). Paris.

Manuscripts

G – Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, A-1108, gelatis k'at'enebiani biblia (XII-XIII ss.) [Gelati Catena Bible (12th–13th centuries)].

O – **Ivir.Geo.1**, oshk'is biblia (978-979 ts'ts'.) [Oshki Bible (978–979)]. Iviron Monastery, Mount Athos.

J – Jer.Geo. 11/73 (11th century), Libraries of the Greek and Armenian Patriarchates in Jerusalem.

S – Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, A-51, sabas, igive mtskheturi biblia (XVII-XVIII ss.) [Saba's (also known as the Mtskheta) Bible (17th–18th centuries)].

B – Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, A-455, bakar's nabech'di biblia (1783 ts'.) [Printed Bible of King Bakar (1783)].

L^P – BnF Geo. N3, p'arizis leksionari (X-XI ss.) [Lectionary (10th–11th centuries), Bibliothèque nationale de France].

S-417 – Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, met'aprasuli k'rebuli (XII-XIII ss.) [Metaphrastic Collection (12th–13th centuries)].

K-1 – Kutaisi State Historical Museum, met'aprasuli k'rebuli (XVI s.) [Metaphrastic Collection (16th century)].

K-3 – Kutaisi State Historical Museum, met'aprasuli k'rebuli (XVI s.) [Metaphrastic Collection (16th century)].